8775

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 21 ნოემბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 47 (206) ფასი 30 კაპ.

სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი— ერთიანი ურღვევი ბანაკია

ოქტომბრის დიდი რევოლუციის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მონაპოვარი, ერთ-ერთი უდიდესი საკაცობრიო მოვლენა და ვერაგ მტერზე ჩვენი უეჭველი გამარჯვების ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი არის საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფოებრივმა სისტემამ, ლენინ-სტალინის ნაციონალურ პოლიტიკის განუხრელად გატარებამ წარმოშვა ჩვენი დიდი სამშობლოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა ისეთი ძმური, გულწრფელი შემოქმედებითი თანამშრომლობა, როგორიც არ ახსოვს არც ერთ ეპოქას და არც ერთი ქვეყნის ისტორიას.

უმაგალითო გულისყურით და მზრუნველობით ეკიდებოდა მთელი ამ ოცდახუთი წლის მანძილზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება თვითმპყრობელობისაგან წინად ჩაგრულ და ჩაწიხლულ ერებს. დიდი და კეთილშობილი რუსი ხალხის დახმარებით ეს ხალხები ფეხზე წამოდგნენ და წელში გაიმართნენ. რამდენადაც ხალხი ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი იყო, იმდენად მეტი იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობა მისდამი. პირველ რიგში მის მიწა-წყალზე შენდებოდა სამრეწველო საწარმოები, მუშავდებოდა მიწის წიაღი, იქსელებოდა იგი სარწყავი არხებით, რკინიგზებით, გზატკეცილებით; პირველყოვლისა, იქ იხსნებოდა სასწავლებლები, საავადმყოფოები და სხვა კულტურული საგანმანათლებლო დაწესებულებები, მზადდებოდა კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა კადრები, იზრდებოდა ჰუმანიტარული ინტელიგენცია, ერთი სიტყვით კეთდებოდა ყველაფერი იმისათვის, რომ დაქვეითებული ხალხები კულტურულად და ეკონომიურად დასწეოდნენ დაწინაურებულ მოძმე ხალხებს. ბოლშევიკური პარტიის, კერძოდ საყვარელი ბელადის დაუცხრომელი მზრუნველობით წარმტაც წალკოტად გაიშალა ყველა მოძმე ერის სულიერი კულტურა, მათი მეცნიერება, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, მთელი ხელოვნება, რომელიც ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ ერთსულოვანი აღიარება და საყოველთაო მაღალი შეფასება დაიმსახურა. ყველა ხალხს შესაძლებლობა მიეცა გამოეჩინა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და გამოიჩინა კიდეც. ამით მათ თავი შეიგრძნეს ახალი საერთო საკაცობრიო კულტურის მშენებლად, ამაღლდნენ სხვებისა და თავის საკუთარ თვალშიც. ერთი მეორის შემოქმედებითი ნიჭისა და ძალების დაფასებამ, ერთმანეთის პატივისცემამ ძმურ ოჯახად გააერთიანა საბჭოთა ხალხები, ერთმანეთთან თანამშრომლობით მოპოებულმა ნაყოფმა დანერგა მტკიცე რწმენა, რომ მხოლოდ ხალხთა სტალინურ მეგობრობას მოაქვს ყოველი მათგანისათვის მეურნეობის და კულტურის აყვავება, ბედნიერება და სიხარული. ხალხთა სტალინური მეგობრობა გახდა დაუშრეტელი წყარო საბჭოთა პატრიოტიზმისა, რომელიც გაუტეხელ სიმტკიცეს აძლევს ჩვენი ხალხის, ჩვენი არმიის გმირობას და რომელიც აუღებელ ციხე-სიმაგრედ ეღობება წინ ხალხთა შორის შუღლის მთესველს, ერების ჯალათს — კანიბალურ ფაშიზმს. მხოლოდ პოლიტიკურად ბეცსა და უვიცს ჰიტლერელთა ბანდას შეეძლო ეფიქრა, რომ ფაშისტური ურდოების მხრით პირველივე სერიოზული დარტყმისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ „ატყდებოდა ჩხუბი სსრ კავშირის ხალხთა შორის, დაიწყებოდა აჯანყებანი, და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც გერმანელ დამპყრობთ გაუადვილებდა წინსვლას თვით ურალამდე“ (სტალინი). „წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო მეტად განამტკიცა, როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. უფრო მეტიც,—ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს“, — ბელადის ამ სიტყვების სინამდვილეს და სრულ ჭეშმარიტებას ყოველდღე ცხადჰყოფენ და ადასტურებენ სამამულო ომის ფრონტის და ზურგის ახალ-ახალი ფაქტები. ყოველ დღეს მოაქვს ცნობა, თუ რა თავდადებით იბრძვიან დაპყრობილ ტერიტორიაზე ბელორუსი და უკრაინელი, ლიტველი და ესტონელი, კარელელი და მოლდაველი პარტიზანები, იბრძვიან, რომ მოშალონ მტრის ზურგი და ამით გაუადვილონ ჩვენ მამაც არმიას მუხანათი მტრის განადგურება. ყოველ დღეს მოაქვს ცნობები, თუ რა თავდადებით მუშაობს უზბეკი და ტაჯიკი, ყაზახი და აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი იმისათვის, რომ მეტი ნედლეულით უზრუნველჰყოს ჩვენი სამხედრო მრეწველობა, მეტი ხორბალი, მეტი ბამბა, მეტი ნავთი და მეტი მარგანეცი მოამარაგონ ჩვენი სახელოვანი არმიის შეიარაღებისა და უზრუნველყოფისათვის.

ყველა საბჭოთა ხალხი თავდადებული ბრძოლით, თავდაუზოგველი შრომით უხდის სამშობლოს, თავის მშობლიურ პარტიას და ხელისუფლებას სამაგიეროს იმ ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც მას სტალინურმა მზრუნველობამ მიანიჭა. ყველა საბჭოთა ხალხი თავის საუკეთესო შვილთა სიცოცხლეს სწირავს დედა-სამშობლოს და მათი სისხლით ამაგრებს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახს.

ერთიან ურღვევ ბანაკად ქცეული და სტალინური მეგობრობის დუღაბით შეკრული ეს ოჯახი მოსდრეკს და გაასამტვერებს ბარბაროსულ ფაშიზმს.

მზაკვრობა

პოლიტხელის პისარენკოს დანაყოფი ბრძანებით წინ უნდა წაწეულიყო და გორაკის კალთაზე გამაგრებულიყო. იქიდან შემდეგი წინ წაწევით ფაშისტებისაგან დაკავებული სოფელი უკანვე უნდა დაებრუნებინათ.

მიუხედავად ჩვენების გააფთრებული შეტევებისა, მოწინააღმდეგემ მაინც შესძლო შეეფერხებინა ჩვენი მებრძოლების წინსვლა.

სხვა გზა არ იყო, — შენიღბული მტრის განლაგების ზუსტად შესწავლის მიზნით წინ მზვერავები გაუშვეს.

400-500 მეტრის მოშორებით მდებარე მტრის ბლინდაჟს მათ უკანიდან შეუმჩნევლად მოუარეს და უეცრად ჩაყრილი ხელყუმბარებით შიგ 14 ფაშისტი ჩახოცეს.

გზა წინსვლისათვის თითქოს გახსნილი იყო, მაგრამ ახლა მათ ახალი წინააღმდეგობა გადაეღობათ. ჩვენი მსროლელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყვნენ განლაგებული სანგრებში, რომ მათ ზუსტად გამოგზავნილი ცეცხლი დაახვავდათ თავზე.

წინ აფარებული ბორცვის გამო ძნელი იყო მოწინააღმდეგის ცეცხლის ახალ წერტილთა გამომჟღავნება.

ამხანაგი პისარენკო მაშინვე ხეზე აცოცდა. დურბინდი მოიმარჯვა და ხედავს, რომ რვაასიოდე მეტრის მოშორებით, თეთრი სახლის ჩარდახში, და იქვე, მის მახლობლად, ორასიოდე მეტრის მანძილზე მდებარე სახლის ჩარდახშივე, მტერს ტყვიამფრქვევთა ბუდეები გაუმართავს.

ჩვენმა მებრძოლებმა მაშინვე ნაღმტყორცნი მომართეს.

სროლას პოლიტხელი პისარენკო მართავდა.

ნაღმტყორცნელებმა ერთბაშად ააფეთქეს თეთრი სახლი თავისი ტყვიამფრქვევთა ბუდეებიანად.

სროლა მიყუჩდა.

ის იყო ამხანაგ პისარენკოს ცეცხლი ახლა მეორე სამიზნისაკენ უნდა მიემართა, რომ ამ სახლის წინ ორი ქალი და პატარა ბიჭუნა გამოჩნდნენ.

პოლიტხელი შედგა.

დააკვირდა, მიხვდა მტრის მზაკვრობას, — მას სრულიად უდანაშაულო სოფლელნი განზრახ გამოერეკა ხვრელსაფარიდან. მან კარგად იცოდა კაცთმოყვარეობა ჩვენი მებრძოლებისა და ამიტომაც იყო, რომ ახლა იძულებით აბორიალებდა ამ ხალხს თავისივე სახლის წინ.

— მე დიდხანს ველოდი იმ წუთს, თუ როდის მოშორდებოდნენ ისინი თავის სახლს, — ახლა მღელვარებით ამბობს ამხანაგი პისარენკო.

მან მართლაც მიაღწია თავის მიზანს. ჩამოშორდნენ თუ არა ისინი თავის სახლს, პისარენკოს ბრძანებაც გაისმა.

ნაღმტყორცნები მყისვე აგრიალდნენ სახურავზე.

ნაღმები ზუსტად ხვდებოდნენ ნიშანს.

მტრის მეორე საცეცხლო წერტილიც განადგურდა.

ფაშისტებმა თავიანთი აღსასრული ჰპოვეს ნანგრევებს ქვეშ.

— ის ორი ქალი და ბიჭუნა გადარჩნენ! ამაში მე სულ მალე დავრწმუნდი ჩემი თვალით, — განაგრძო ამხანაგმა პისარენკომ. — ისინი იდგნენ. ზედმეტი სინათლის ასარიდებლად ცალი ხელი თვალზე აეფარებინათ და ჩვენკენ იცქირებოდნენ. ხელის ქნევით მოგვესალმებოდნენ. ჩვენ გვიხაროდა, რომ ასე ბრწყინვალედ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და ამასთანავე ჩვენი საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლეც შევინარჩუნეთ.

ჩვენი მებრძოლები მალე სოფელში შევიდნენ.

დემნა შენგელაია,
უფროსი პოლიტხელი.
არმია.

სამამულო ომის გმირი ქართულ პოეზიაში

ბესარიონ ჟღენტი

უმაგალითო თავდადებით იგერიებს დევგმირი საბჭოთა ხალხი თანამედროვე კანიბალების გაცოფებულ ურდოებს. მთელი მოწინავე კაცობრიობა აღტაცებულია და განცვიფრებული იმ ვაჟკაცობით, რომელსაც იჩენს ჩვენი ქვეყანა უცხოელ დამპყრობელებისაგან თავისი დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად ბრძოლაში.

ბელადის პირველსავე მოწოდებაზე საგმირო საქმეებისათვის აღსდგა მთელი ჩვენი სამშობლო და რაც უფრო წინ მოიწევს ფაშისტური ქვეწარმავალი, რაც უფრო მწვავდება და მძაფრდება ვითარება, მით უფრო სალკლდევდება საბჭოთა ხალხის მებრძოლი სული და ნებისყოფა.

ჭეშმარიტად, ჩვენი დედა-სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის ამ გადამწყვეტ დღეებში გმირობა და თავგანწირულება გადაიქცა საბჭოთა ადამიანების საყოველთაო ღირსებად. ჩვენი ხალხის ამ გმირობამ უკვე მთელი ქვეყნის დასანახავად გააცამტვერა ჰიტლერის არმიის „უძლეველობის“ ზღაპრული ლეგენდა, ყირამალა დააყენა ფაშისტების ნაცადი „ელვისებური ომის“ მუხანათური სტრატეგია და ყველასათვის აშკარა გახადა, რომ, ყოველგვარი დროებითი წარმატების მიუხედავად, ჰიტლერული გერმანია დასაღუპავად არის განწირული, იგი სისხლისაგან იცლება, იგი თავისი საარსებო და სამხარი რესურსების სრული ამოწურვისაკენ მიექანება, იგი უფრო და უფრო ღრმად იხლართება გამოუვალ შინა-პოლიტიკურ და საერთაშორისო წინააღმდეგობათა ქსელში.

საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი და უწმინდესი გრძნობა მასობრივი გმირობის წარმომშობ უშრეტ წყაროდ გადაიქცა. ჯავშანში ჩამსხდარ ვერაგ მტერთან ბრძოლაში იჭედებიან ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილთა ახალი და ახალი ლეგიონები. სამამულო ომის ყოველ დღეს მოაქვს სამშობლოსათვის თავდადებულად მებრძოლ გმირთა ახალი სახელები. ეს სახელები ელვისებური სისწრაფით ვრცელდებიან ხალხში და ხდებიან საყოველთაო აღტაცებისა, სიყვარულისა და მადლიერების საგნად, მილიონებისათვის მისაბაძ მაგალითად. ეს სახელები ჩაუქრობელი შარავანდედით იმოსებიან, ისინი ნამდვილ უკვდავებას მოიპოვებენ ხალხის გულში, მკვიდრდებიან ხალხური ზეპირსიტყვაობის საგანძურში, იქცევიან პოეტური შემოქმედების პირველხარისხოვან პერსონაჟებად.

უეჭველია, რომ სამამულო ომის დიადი ეპოპეა ახალი თემებითა და სახეებით გაამდიდრებს საბჭოთა ლიტერატურას, აიყვანს მას განვითარების ახალ, უმაღლეს საფეხურზე, ახალ ბრწყინვალე და უფართოეს შემოქმედებითს შესაძლებლობებს გადაუშლის მას.

სამამულო ომის გმირთა სახელოვანი საქმეები შთაგონების ამოუწურავ მარაგს მისცემენ ჩვენს მწერლობას და მოითხოვენ მხატვრული სიტყვის ოსტატებისაგან პოეტური მეტყველების მრავალ ახალ, უფრო ინტენსიურ და ცხოველ საშუალებათა მიგნებას მამულის ამ თავდადებულ დამცველთა ღირსეული პოეტური სახის გამოსაკვეთად.

ჩვენს ლიტერატურაში, მის ყოველ ჟანრში უკვე თვალსაჩინოა ამ დიდი შემოქმედების მოძრაობის პირველი, დაწყებითი ნაბიჯები. სამამულო ომის გმირთა სახე უკვე განსაზღვრულ ადგილს იჭერს ჩვენს ლიტერატურაში. მათი ვაჟკაცური და თავგანწირული ბრძოლის ჰეროიკა ახლებურ გზნებას, ახლებურ წრთობას აძლევს ჩვენს პოეტურ სიტყვას.

„ლექსს მივაქკაცებს მათი ბრძოლის ხმა,
მათი დროშები, ერთად ამდგარი,
შემოტეულ მტრის ერთად მორისხვა,
ერთი დგანდგარი:
„დაჰკარ, დაჰკარი!“ —

ამბობს გიორგი ლეონიძე ერთ-ერთ თავის ახალ ლექსში და ეს სტრიქონები მორიგ პოეტურ დეკლარაციას კი არ შეიცავენ, არამედ უაღრესი სიმართლით და სიწრფელით გადმოგვცემენ იმ ზემოქმედებითს ძალას, რომელსაც ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის მიმართ იჩენენ ჩვენი სამშობლოს უშიშარ დამცველთა საგმირო საქმეები.

თუ პოეზიაც ერის ცხოვრების მეტყველ მატიანეს სწერს, პირველ ყოვლისა პოეტებისადმი მიმართულ მოწოდებად უნდა იკითხებოდეს მეისტორიისადმი მიმართული ლექსი იოსებ გრიშაშვილისა:

„მეისტორიევ, წიგნი დახურე,
კმარა წარსულზე თქმა ამაყური,
თავი აიღე მოჭირნახულე,
და ახალ გმირებს მიაპყარ ყური“.

ამ სიტყვებში გამოთქმულია პოეტის მართალი რწმენა, რომ ჩვენი დროის გმირი ადამიანები თავიანთი საგმირო საქმეების სიდიადით იმსახურებენ მეისტორიის, პოეტის, ცხოვრების ყოველი მხატვრისა და აღმრიცხველის უმთავრეს ყურადღებას და ამ აზრის პრაქტიკულ დადასტურებას ჩვენ ვხედავთ ქართველი პოეტების მთელ ეხლანდელ შემოქმედებაში.

თუ სამამულო ომის პირველ დღეებში ჩვენი პოეზია უფრო ზოგად, განყენებულ, მოწოდებითი-პათეთიური მანერით დაწერილ ლექსებში უმღეროდა საბჭოთა ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებას, ახლა, რაც დრო გადის, სამამულო ომის თემატიკა მით უფრო კონკრეტულ, ხორცშესხმულ ხასიათს ღებს ჩვენს ლიტერატურაში და ეს ხდება უპირველეს ყოვლისა ჩვენი გმირი მებრძოლებისა და მათი ვაჟკაცური საქმეების კონკრეტულ-სახეობრივი პოეტური გამოხატვის ნიადაგზე.

სამამულო ომის გმირის პოეტური პორტრეტი პირველ რიგში გადმოგვცემს საბჭოთა მგზნებარე პატრიოტების უშიშროებას მტერთან ბრძოლაში, მათს მაღალ იდეურ-მორალურ მიზანმისწრაფებას, თავისი სამშობლოს აწმყო და წარსული დიდებისაგან გამომდინარე მოვალეობის შეგნებას. საბჭოთა გმირის სწორედ ამგვარი დახასიათება მოგვცა პოეტმა ხარიტონ ვარდოშვილმა:

„ვერ აკრთობს ცეცხლის გუგუნი,
მინდორი სისხლით ნაბანი,
სტალინისათვის სისხლსა ღვრის,
არ უნდა გახდეს ჯაბანი.
არ შეარცხვინოს ლაჩრობით
დევგმირი მამა-პაპანი“.

სტალინური ეპოქის ადამიანის გმირობისა და პატრიოტული თავგანწირულების უმაღლეს განსახიერებად დარჩება მთელი კაცობრიობის ხსოვნაში კაპიტან გასტელლოს შეუდარებლად კეთილშობილური და ვაჟკაცური სახე. ამ მართლაც ამაღფრთოვანებულმა და განმაცვიფრებელმა ეპოპეამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ჩვენს პოეზიაში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქედან დაიწყო სამამულო ომის გმირთა პორტრეტების ხატვა ჩვენს მწერლობაში. გასტელლოსადმი მიძღვნილ, წრფელი მღელვარებით აღბეჭდილ ლექსში სიმონ ჩიქოვანმა მართებულად სთქვა, რომ:

„მხოლოდ შეიძლებს საბჭოთა კაცი
აგრე დასძლიოს სიკვდილი თვისი“.

მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, ადამიანისა და ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების უმაღლესი იდეალებით გაბრწყინვებულ ქვეყანას შეუძლიან წარმოშვას ასეთი გმირები და სწორედ ამიტომ არის უკვდავი და უძლეველი ჩვენი სამშობლო. ამ აზრს გვინერგავს გასტელლოსადმი მიძღვნილი სტრიქონები იმავე პოეტისა:

„შენ იყავ ჩვენი მიწით გამზდარი,
სახელით შერქმული მშობლიურ მიწას,
არ დაუდგება მამულს ზამთარი,
რადგან ამგვარი ლაშქარი იცავს“.

დამახასიათებელია, რომ გასტელლოს დაღუპვის ჭეშმარიტად ლეგენდარულმა ისტორიამ შთააგონა ახალგაზრდა პოეტს რევაზ მარგიანს — დაეწერა ლექსი უკვდავების თემაზე, რადგან სწორედ ასეთი სიკვდილი არის ნამდვილი გზა მარადიული სიცოცხლისათვის ხალხის ხსოვნაში. მკითხველი სრულის გრძნობით ეურთდება ახალგაზრდა პოეტის სიტყვებს ამ იშვიათი რაინდის შესახებ:

„ის მოკვდა გმირი დაუძრახველი,
ძმები დაიხსნეს მისმა მკლავებმა,
ხსოვნაში ჩაგვრჩა წმინდა სახელი,
მისი გმირობა და უკვდავება“.

ჩვენი სამშობლოს უშიშარი დამცველების საგმირო საქმეები ახალ საბრძოლო აღფრთოვანებას ჰბადებენ ხალხში და განამტკიცებენ ჩვენს ნებისყოფას ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის. ეს აზრი განასახიერეს კაპიტან გასტელლოსადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტებმა გრიგოლ ცეცხლაძემ, ვასო გორგაძემ და ხარიტონ ვარდოშვილმა.

ქართული საბჭოთა პოეზია ცხოველად გამოხატავს ქართველი ხალხის კანონიერ სიამაყეს იმის გამო, რომ დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად, დიადი საბჭოეთის სხვა ხალხთა შვილებთან მხარდამხარ, სამამულო ომის ვეებერთელა ფრონტის ყოველ უბანზე, თავგანწირულად და რაინდულად იბრძვიან ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებიც. ჭეშმარიტად, წითელი არმიისა და ფლოტის ქართველ მეომართა საგმირო საქმეებში ცოცხლდებიან და ბრწყინვალედ სახიერდებიან ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, სახელოვანი საბრძოლო და პატრიოტული ტრადიციები.

წრფელად და შთაგონებულად გამოეხმაურა ქართული პოეზია გმირ მფრინავის ა. წურწუმიას ვაჟკაცურ და გამანადგურებელ იერიშებს ჩვენი სამშობლოს უბოროტესი მტრების წინააღმდეგ. ალიო მაშაშვილის ლექსის სათაურშივე — „ზღვის არწივი“ — მოცემულია ჩამოყალიბებული პოეტური სახე, გამომხატველი მტრებზე თავგანწირულად ამხედრებული უშიშარი სტალინური მფრინავის შინაგანი ძლიერებისა და სიდიადის:

„ციდან მგრგვინავი შენი ძახილი
მხეცთა ბუნაგებს რისხვად ეცემა,
ელვით ნატყორცნი შენი სახელი
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა“. —

ასეთი ექსპრესიით აღბეჭდილ სტრიქონებში გადმოგვცემს პოეტი კაპიტან წურწუმიას საგმირო საქმეებს და მთელი ჩვენი ხალხის სურვილისა და ნებისყოფის გამომხატველი მოწოდებით მიმართავს მას:

„გასწი, გაფრინდი, გმირო არწივო,
თან შევარდნების რაზმი დასძარი,
დაზვერე, მიზანს არ დააცილო
მტრებს, ავაზაკებს დასცხე თავზარი“.

ა. წურწუმიასადმი მიძღვნილ ლექსში რაჟდენ გვეტაძემ მოგვცა განზოგადოებითი ძალის პოეტური სურათი, რომელიც განასახიერებს ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმისათვის თავდადებული ადამიანების საბრძოლო იდეალების სიმაღლესა და სიდიადეს, მათს მზადყოფნას მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს თავისუფლებას, ხალხის კეთილდღეობას, ქვეყნად ნათელისა და სიმართლის გამარჯვებას:

„მიჭქრის, მიფრინავს, არ ენანება
იკაროსავით მზეზე დაიწვას,
ოღონდ მზე ისევ ხალხს უნათებდეს,
ოღონდ სამშობლო მტრისგან დაიცვას“.

სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლ ქართველ გმირებისადმი მიძღვნილი ლექსების მთელი ციკლი დასწერა კარლო კალაძემ. ლექსში „უსახელო მთის ბალადა“ პოეტმა გვიჩვენა, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ეხლანდელ დიად ბრძოლაში ხალხთა სტალინური მეგობრობის უმაღლესი გრძნობა. სამამულო ომის გმირის შალვა ლებანიძისადმი მიმართულ ლექსში კარლო კალაძემ მკვეთრად გამოსთქვა ის აზრი, რომ საბჭოთა გმირის ყოველი ნაბიჯი მთელი საბჭოთა ხალხის აზრისა და ნებისყოფის ხორცშესხმული გამოხატულებაა:

„ერის ხმასავით ჰქუხს ეგ ყუმბარაც,
დაე მტარვალებს ცოცხლად მარხავდეს,
რომ ისევ ერთა დასაღუპავად
თავისუფლებას მტერი არ ჰყავდეს“.

სამამულო ომის გმირებს, ქართველ სახელმოხვეჭილ მებრძოლებს ლებანიძეს, პირტახიას, შალამბერიძეს ლექსები მიუძღვნეს აგრეთვე გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ვარლამ ჟურულმა.

თავის დედა-სამშობლოს დასაცავად ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებთან მებრძოლი საქართველოს მთების შვილის კოლორიტული სახე დახატა ალ. აბაშელმა ლექსში „ხევსური ტანკისტი“. თვით თემის შერჩევაში აქ მიგნებულია ნიადაგი გმირული რომანტიკით გამსჭვალული პოეტური ქმნილებისათვის. სარდლობის მოწოდებისთანავე მტრების შესამუსრავად გაგზავნილი ხევსური ვაჟკაცი

„წამოხტა გახარებული,
ან-და რა ხვეწნა სჭიროდა?
მღეროდა გული ვაჟკაცის,
განა ლაჩრულად ტიროდა!
მიუხაროდა საომრად,
ვით ჯიხვზე სანადიროდ“.

სამამულო ომის გმირთა პოეტური სურათის დახატვისა და მათი საგმირო საქმეების ასახვისას ჩვენი პოეზია თანდათან აფართოებს და ამრავალფეროვანებს როგორც თემატიურ არეს, ისე ჟანრობრივ დიაპაზონს. კონკრეტულად ცნობილ გმირთა პორტრეტებისა და რეალურად აღნიშნული ეპიზოდების გვერდით ჩვენს პოეზიაში იქმნება საბჭოთა გმირის ტიპიური, კრებადი სახეები და იხატება მწერლის ფანტაზიისმიერი დამახასიათებელი სურათები სამამულო ომისა.

ასეთი გზით მიდის სამამულო ომის თემებზე დაწერილი ლექსების ციკლში ვიქტორ გაბესკირია. ლექსში „ბრძოლის ველზე“ მან მოგვცა საბჭოთა პატრიოტის შინაგანი რაინდობისა და მორალური ძლიერების გამომხატველი ტიპიური სურათი. სასიკვდილოდ დაჭრილ საბჭოთა მებრძოლს გარს შემოხვევიან მეგობრები, ამხანაგები. ისინი ელოდებიან, თუ რას ეტყვის უკანასკნელად დაჭრილი რაინდი, რას დაიბარებს იგი თავის თანამებრძოლებს. დაჭრილი კი:

„აი, თვალს ახელს, წამოიწია,
ხედავს მეგობრებს, მაგრამ მას ვიდრე
ეტყოდნენ რამეს—ასე იკითხა:
„ჩვენები ხიდზე თუ გადავიდნენ?“

მტრის შემუსვრა და უკუქცევა, ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვება არის საბჭოთა მებრძოლის უმაღლესი მისწრაფებისა და ფიქრის საგანი. ამით არის შეპყრობილი მისი აზრი და გრძნობა ყოველთვის, გამარჯვებისა თუ უკიდურესი განსაცდელის ჟამს. ეს გვითხრა პოეტმა ზემოთმოყვანილი ეპიზოდის დახატვით.

სამშობლოსათვის თავგანწირული ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე და ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი სახე მოგვცა გრიგოლ აბაშიძემ თავის ბალადაში „მტრები“. აქ წარმოსახული ბატალური სურათი მოიერიშე ავაზაკთან კომკავშირელი მებრძოლის შეჯახებისა თავისი შინაგანი ექსპრესიით ვაჟა-ფშაველას გმირული ეპოსის სულითაა აღბეჭდილი. „არ დაგნებდები არასდროს, ძაღლო!“ — ასეთია საბჭოთა გმირის პასუხი მტრისადმი თვით უკიდურესი განსაცდელის წუთშიაც კი. საბჭოთა ადამიანს ვერაგი მტრისადმი მომაკვდინებელი ზიზღი ასულდგმულებს. მძიმედ დაჭრილ ახალგაზრდა საბჭოთა მებრძოლს წყურვილი ახრჩობს. მან დაინახა წყლით სავსე მათარა და დასალევად დასწვდა მას. მაგრამ მყისვე ზიზღით უკან გადაისროლა იგი, რადგან მათარაზე საზიზღარი ფაშისტური სვასტიკა შენიშნა:

„დაჭრილი ბალახს ნატრობდა ცვრიანს,
ნატრობდა, მაგრამ არ იყო წვიმა,
სწყუროდა, მაგრამ წყლის წყურვილს
სძლია,
მტრისადმი ზიზღმა და სიძულვილმა“.

ამგვარად გამოხატა გრიგოლ აბაშიძემ დასახელებულ ბალადაში საბჭოთა მებრძოლის ერთ-ერთი უმაღლესი თვისება — მტრისადმი შეურიგებელი ზიზღი და გულისწყრომა.

საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილთა უდრეკი მისწრაფება—შური იძიოს ვერაგ მტრებზე, თუნდაც ეს შურისძიება საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღებასაც მოითხოვდეს, განასახიერა რაჟდენ გვეტაძემ პოემაში „ლელა“. კეთილშობილი ლირიზმით გამსჭვალული ამ საგმირო პოეტური ქმნილების მთავარი პერსონაჟი, უკრაინელი ჭაბუკი პავლო სწორედ ამგვარი რაინდული შურისძიების გამომხატველი ხორცშესხმული ლიტერატურული სახეა.

ვერაგი მტრისადმი ქედმოუხრელობის, რაინდული თავგანწირულების სულისკვეთებით არის გამსჭვალული ი. ნონეშვილის ბალადა „ჩვიდმეტი“, რომელიც დამაჯერებელი ძალით გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლიანთ საბჭოთა ადამიანებს უშიშრად შეეგებონ სიკვდილს, როდესაც საქმე საბჭოთა ხალხის, ჩვენი სამშობლოს სახელსა და ღირსებას შეეხება.

საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლათა ასახვისას ჩვენი პოეზია მკაფიოდ განასახიერებს იმ აზრს, რომ ჩვენი ხალხის ამ დიად საბრძოლო ეპოპეაში ცოცხლდებიან ჩვენი გმირი წინაპრების სახელოვანი ტრადიციები. მშვენივრად გამოხატა ეს იდეა გიორგი კაჭახიძემ ლექსში „ბედნიერების გადასარჩენად“. ფაშისტ თავდამსხმელთა ვერაგობამ თითქოს შეაშფოთა საფლავებში მწოლარე ჩვენი გმირი წინაპრებიც-კი. ისინიც

„გრძნობენ მტრის ურდოს, სისხლით
გალეშილს,
ახელენ თვალებს ფართოდ, მრისხანედ,
ვერ ეტევიან საფლავებშიაც
და ადრინდელად აბჯარს ისხამენ.
დევკაცურ გზნებით კვლავ ინთებიან
ბრძოლის გარეშე არ სურთ დარჩენა
და ახალ გმირებს ეურთდებიან
თავისუფლების გადასარჩენად“.

დიადი საბჭოთა ხალხის პატრიოტული მგზნებარება და მებრძოლი გმირული სული გამოხატულია აგრეთვე დავით გაჩეჩილაძის, ალექსანდრე ქუთათელის, კალე ბობოხიძის, გიორგი ქუჩიშვილის და სოლომონ თავაძის ლექსებში, რომლებიც მათ სამამულო ომის სახელოვან გმირებს მიუძღვნეს.

სამშობლოს ამ საამაყო შვილების სადიდებლად შექმნილი პოეტური ნაწარმოებნი გამსჭვალული არიან მთელი ჩვენი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით და მადლიერებით მამულის დევგმირი დამცველებისადმი. ყოველი საბჭოთა პატრიოტი, სადაც არ უნდა იყოს იგი, მთელი თავისი არსებით გვერდში უდგას მამაც საბჭოთა გმირებს და მათ ხვედრს ინაწილებს. საბჭოთა ქვეყნის ყოველი ღირსეული შვილის აზრი და გრძნობა გამოსთქვა მიქელ პატარიძემ საბჭოთა მებრძოლებისადმი მიმართულ სიტყვებში:

„მებრძოლნო, გხედავთ და მინდა თქვენთან
მეც ვამღერებდე შაშხანის საკეტს,
დღეს მეც გამჭვარტლოს სანგარში დენთმა
ფრთებით გავეკრა ლაჟვარდის სარკეს“.

მხურვალე მშობლიური გრძნობით ულოცავს გზას ჩვენი ქვეყანა სამამულო ომის მებრძოლ რაინდებს. განუსაზღვრელია ხალხის სიყვარული და მზრუნველობა თავისი ლომგული შვილებისადმი, რომელთა საგმირო საქმეები ჩვენი სამშობლოს უძლეველობას და უკვდავებას განამტკიცებენ. ხალხის ეს განწყობილება გამოხატა ვასო გორგაძემ ჩვენი სამშობლოს გმირი შვილებისადმი მიმართულ ლექსში:

„გმირებო, თქვენი მარჯვენა
აყვავდეს მტერთა მძლეველი.
თქვენს სახელს მკერდზე იწერდეს
ამწვანებული ტყე-ველი,
ხარობდეს ჩვენი ქვეყანა,
გმირობა დაუძლეველი,
მუხა ასწლოვან ფესვებით,
სალი კლდე შეურყეველი“.

ასეთი სიყვარულით და შთაგონებით ხატავს თანამედროვე ქართული პოეზია დიადი სამამულო ომის სახელოვან გმირთა სახეებს, ასეთის გზნებით წარმოგვისახავს იგი ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის წარმოებული ეხლანდელი დიადი ბრძოლის მგზნებარე ეპიზოდებს. უეჭველია, რაც დრო გავა, მით უფრო ღრმად და ყოველმხრივად გააშუქებს ამ თემას ჩვენი ლიტერატურა. ეს დიადი და წარმტაცი თემა დიდხანს იქნება მწერალთა და ხელოვანთა ახალი თაობების შემოქმედებითი შთაგონების უმდიდრეს წყაროდ.

უკანასკნელი ღამე*

რაჟდენ გვეტაძე

სიჩუმეა. მთვარე ცაზე
ეფარება ღრუბლის ნაჭერს.
სძინავს პავლოს, მაგრამ ვიღაც
თითქოს მახვილს გულზე აჭერს,
თითქოს გემში ზის და ქარი
გამოსტაცებს უცებ საჭეს.

ცას ქუხილი აზანზარებს,
თავს დაეცა ქალაქს მეხი.
მიწა იძვრის და ძირს პავლომ
ვეღარ დასდგა მაგრა ფეხი.
ხედავს, ღამეს მოსდებია
ცეცხლის ალი დაგრეხილი.

ხედავს, მძაფრად მოგიზგიზე
ხანძრით ქალაქს განაშუქებს.
მოვარდნილი ქარიშხალი
ლეწავს, ამსხვრევს ფანჯრის
შუშებს.
ამდროს ლელა აგონდება,
და მტკივან გულს ვერ იშუშებს.

მყის გაიჭრა. ლელას კარზე
ჩამორეკა სწრაფად ზარი.
მაგრამ ლელა ხმას არ იღებს,
მხოლოდ ზუის ისევ ქარი.
ვეღარ გასძლო, შეამტვრია
ბოლოს მისი ბინის კარი.
შიგ შევიდა, არავინ სჩანს.
მარტო ჰყეფს და ყმუის ძაღლი.
დაირბინა მთელი ბინა,
მწუხარე თავს კედელს ახლის.
სადღაც მეხი კვლავ გავარდა
და შეირყა ფუძე სახლის.

აჰერ ლელა. ბნელ კუნჭულში
მიმალულა შიშით მშრალი,
ეცა პავლო, სიხარულით
ძნად შეუკრა თმა ნაშალი,
შემდეგ ფეხზეააყენა,
მოახურა მხრებზე შალი.

კარისაკენ წაიყვანა,
მაგრამ იქვე შესდგა უცებ.
ჩონგურს ხელი წამოავლო,
თითქოს ჩონგურს გული უცემს
და ქალ-ვაჟის სიყვარულში
თითქოს მასაც წილი უძევს.

მთელი სახლი გაიხიზნა,
ზათქით ტყვიის სეტყვა მოდის.
ლელას მუხლი ეკვეთება,
მხრებზე აწევს მძიმე ლოდი.
ჩუმად ოხრავს და თან ამბობს —
გათენდება ნეტავ როდის?

ალმოდებულ ქალაქს გაცდნენ,
უკან დარჩა მტერი ავი.
აღარ ისმის ქუხილი და
ჭექა, სულის შემხუთავი.
დაღლილებმა ალიონზე
შეაფარეს ხშირ ტყეს თავი.

პავლომ მხოლოდ ახლა იგრძნო
მასთან არი მარტო ლელა,
და ცალ ხელში ჩონგური აქვს,
ცალით ქალი მიჰყავს ნელა.
იმის სახეს ჯერ ვერ ხედავს,
რადგან ტყეში ისევ ბნელა.

ათასწლოვან ფიჭვის ხეებს
აუწვდიათ ცამდე წვერი.
კენარ ტანზე ელვენთებათ
მზით გამდნარი ფისის წვენი.
ხან ტოტებზე უკამკამებთ
ცვარი, დილით მონაწველი.

მზე ჩავიდა. კაბადონზე
კვლავ აინთო დიდი კვარი.
მდუმარებით მოცულ ტყეში
ჩამოეშვა ვერცხლის ღვარი.
ზოგან ხეზე მთვარის შუქი
დაეკიდა, ვით ლახვარი.

ღამის ჩიტი ტოტს შეარხევს.
ხის ქვეშ მოლზე პავლოს სძინავს.
თავით უზის ლელა ჩუმად,
მის თვალებზე ცრემლი ბზინავს.
იქვე ძაღლიც, დაწოლილი,
როგორც კაცი ხშირად გმინავს.

გაეღვიძა პავლოს. ნახა
სველი იყო ლელა ნამით.
დაუკოცნა მყის თვალები,
ანუგეშა ქალი ამით,
მაგრამ უცებ გაახსენდა,
თუ რაც მოხდა წუხელ ღამით.

მის საყვარელ, ტკბილ ქალაქში,
ალბათ, მეხი კვლავ მქუხარებს.
პავლოს უნდა, ლელა მალე
შეაფაროს ისეთ მხარეს,
სადაც საფრთხე არ მოელის
შეშფოთებულს და მწუხარეს.

თვითონ წავა წითელ ჯართან
და შეუტევს მტერს თამამად.
სხვებთან ერთად მჩქეფარე სისხლს
დააპკურებს მამულს ნამად.
ბრძოლის შემდეგ უფრო ჩასთვლის
ლელას მამას თავის მამად.

წამოიჭრა. ვერ აყუჩებს
გულში ამდგარ კორიანტელს.
ლელას ხელი გაუწოდა,
ქალი ვარდს ჰგავს ქარით ნათელს,
ვაჟი მხარში ამოუდგა —
გაჰყვნენ ნელა მთვარის ნათელს.

*) ნაწყვეტი პოემიდან „ლელა".



ჩრდილოეთ-დასავლეთი ფრონტი. ცეცხლის ხაზზე. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მწვანე კუნძული

კლიმენტი გოგიავა

ზღვამ ენა ამოიდგა, მოუხშირა ხუვილს. ტალღების ქარავანი გრიალით, ზრიალით მიაწყდა ნაპირს. ზღვის ნისლი დასწოლოდა მიდამოს.

სქელი ნისლი ხელსაყრელი აღმოჩნდა მტრის გემებისათვის, რომლებმაც თავათაც აუშვეს ნისლისფერი კვამლი და რომელნიც მდინარის აღმა გაემართნენ.

ალექსანდრე წურწუმიას მთელ ღამეს არ ეძინა. მზვერავისაგან ახალ-ახალ ცნობებს ღებულობდა. გული ეკუმშებოდა, მაგრამ სახეზე შეშფოთება არ ეხატებოდა. შავი, გაუტეხელი თვალებით დასცქეროდა ევროპის რუკას და ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს რაღაც ხაზებს ავლებდა. ბუქარესტი და პლოეშტი წითელი ფანქრით შემოხაზა. კონსტანცაზე ლურჯი წერტილი დაესო.

ალექსანდრემ რუკას გაზეთი გადააფარა, ხალათი შეისწორა, გახსნილი საყელო შეიკრა და კარები გამოაღო. ოთახში ზღვის მსუბუქმა ჰაერმა ითქრიალა. ალექსანდრეს ემა სიცივე. კიბეებზე მფრინავი ამოვიდა, შორიდან გაუღიმა კაპიტანს და გულიანად მიესალმა. ამ დროს ტელეფონმაც გაიწკარუნა.

— მესმის! არის!..

ალექსანდრეს უცებ გაუქრა სახეზე სიმკრთალე. ლოყები ოდნავ შეუწითლდა და გაღიმებული თვალებით მფრინავს უთხრა:

— გაიქეც, მანქანებს საფარი მოხადე!

ზღვა ისევ შფოთავდა.

ალექსანდრემ თავის ესკადრილიის ბიჭებს ჩაუარა.

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო!

ცისფერი ყუმბარმშენების მოტორები თუხთუხებდნენ, როცა ალექსანდრე კოშკურაში შევიდა. საჰაერო ხომალდები ერთბაშად აგუგუნდნენ, მიწას მოსწყდნენ და ცაში გაუჩინარდნენ.

მდინარე ისე მოსჩანდა, როგორც თეთრი ქვებით მოკირწყლული ხევაანი. ალექსანდრეს გამოცდილმა თვალმა შავი კვამლის სვეტებიც კი შენიშნა. იგი გემებიდან ამოდიოდა.

„დავუცდი. მტერმა, როგორც ხშირად, შეიძლება ახლაც მოუთმენლობა გამოიჩინოს. გვესროლოს. ამით საკუთარ თავს გამოამჟღავნებს და ჩვენთვის ხელსაყრელი დრო დადგება",— ფიქრობდა ალექსანდრე და დიდი სიმაღლიდან თანდათან ეშვებოდა. მაგრამ ზარბაზნები მაინც სდუმდნენ.

აი დუნაიც. ნეტა რას ველოდებით, ფიქრობდნენ მფრინავები.

მტერმა სროლა არ დაიწყო, თავი არ გამოამჟღავნა. ალექსანდრეს ვარაუდი არ გაუმართლდა. მაშინ კაპიტანმა თვითმფრინავები მოაბრუნა, ძალზე ჩამოდაბლდა და ისე დაუქროლა მდინარეს, რომ წყალი ააშხუილა.

უცებ ცეცხლმა იგრიალა. მეზენიტეებიო,—გაიელო ალექსანდრემ გულში და გაკვირვებულმა იმით, რომ გემები არსად სჩანდნენ, ზევით აიწია. „ეს ხომ კუნძულია,—ფიქრობდა წურწუმია, — ნამდვილად კუნძულია! მაშ ის გემები რამ გააქრო, წეღან რომ კვამლი შევნიშნე?"

შეშფოთდა კაპიტანი. გამოცდილებამ მოკლედ მოაჭრევინა: ეს მტრის ახალი ფანდიაო.

ცეცხლმა ალისფრად გაანათა მდინარე: გასკდა საზენიტო ზარბაზნის ყუმბარა.

„აი როგორი კუნძული ყოფილა!"— გაიფიქრა ალექსანდრემ და შტურმანს უბრძანა:

— მოემზადე დაყუმბარებისთვის.

ესკადრილია გაიშალა.

მტრის ცეცხლი მძვინვარებდა. მწვანე კუნძული შეტორტმანდა, ხეები შეირხნენ და ფოთლებით შენიღბული ზარბაზნის ლულები მაღლა აიმართნენ.

საშინელი გრუხუნის შემდეგ ცეცხლმა ყველაფერი გაანათა. წყლის შადრევნები ცას მიეშხეფნენ. მწვანე გემი შეფარფატდა. მიზანს მოხვდნენ ალექსანდრე წურწუმიას ესკადრილიის პირველი ყუმბარები.

რტოებით დაფარულმა ზარბაზნებმა ცეცხლის ენები ცას მიაბჯინეს. ესკადრილიამ მეორედ გაუქროლა მიზანს და „გასცხრილა" იგი. მტრის გემებზე უზარმაზარი ალი ავარდა და ცეცხლმოკიდებული ხეები ჰაერში გაიფანტნენ.

— ერიჰა, მწვანე კუნძული ჩაჰქრა! —გაიკვირვა შტურმანმა.

— ასე ჩაქრება მტრის იმედიც! — უპასუხა ალექსანდრემ.

ყუმბარებს მდინარე აექაფებინა. აქა-იქ ქაფი სისხლს შეეღება და წითლად მიედინებოდა.

ასე დაიღვარა სხვის სისხლს დანატრულებული ადამიანის სისხლი.

ესკადრილიამ მეორე გემს მიაშურა, მაგრამ გაისმა მეთვალყურის მჭექარე ხმა:

— ამხანაგო კაპიტანო, მარჯვნივ მტრის გამანადგურებლები გამოჩნდნენ.

ალექსანდრემ მარჯვნივ გაიხედა, შუბლი შეიკრა და ბრძანა:

— მწყობრი არ დაარღვიოთო! ცეცხლით შევხვდეთ მტერს!

და გაჩაღა ცეცხლი ცეცხლის წინააღმდეგ. ავიოგამანადგურებლებს იერიში იერიშზე მოჰქონდათ, მაგრამ ამაოდ. ესკადრილია ტყვიამფრქვევის შეთანხმებული სროლით იგერიებდა შეტევას და თანაც ყუმბარებს აყრიდა მეორე მონიტორს, რომელიც მალე ჩაიძირა.

ავიოგამანადგურებლები უკან გაბრუნდნენ...

ესკადრილიამ წრე შემოხაზა, შემდეგ ისე მაღლა შეინავარდა, თითქოს ცას მიეკრაო.

— ბიჭოს, მესამე კუნძული: ესეც უეჭველად მონიტორია! — შესძახა ალექსანდრემ და ჩამოდაბლდა.—ცეცხლი! — ბრძანა მან.

უცებ ეს კუნძულიც ისე ჩაიძირა, როგორც პირველი ორი.

* * *

სოფლის საბჭოს წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ყველა გულაძგერებული უსმენდა რადიოს, რომელმაც უკანასკნელი სიტყვები ალექსანდრე წურწუმიას გმირობას მიუძღვნა. წურწუმიას სახელის ხსენებისთანავე ჩურჩული ატყდა გლეხებს შორის. ერთმა მოხუცმა, სწორედ იმან, რომელიც გადაცემის მოლოდინში ჩიბუხს ზედიზედ სცლიდა, ხმამაღლა წამოიძახა:

— ეს ჩვენი პეხუს ბიჭია ნამდვილად. შენი ჭირიმე, ალექსანდრე, შენი!

გაიხარა სოფელმა ხორგამ, სადაც ალექსანდრემ პირველად თვალები გაახილა.

ხოლო სამოცდათხუთმეტი წლის პეხუ წურწუმიამ რადიო-აპარატი გულში ჩაიკრა, ჰკოცნიდა მანამდე, სანამ კალისინემ არ დაუტატანა:

— რას ჩააცივდი მაგ რკინას? აი ალეს სურათი!

ალექსანდრე წურწუმია თავისი შავი თვალებით შესცქეროდა გამხნევებულ მშობლებს.

სამამულო ომისადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენა

ფაშისტური გერმანიის მიერ ვერაგულად დაწყებულ ომს, თავის-თავად ცხადია, სათანადო გამოძახილი უნდა ეპოვა საქართველოს საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებაშიაც. ამას ნათლად მოწმობს სამამულო ომისადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენა, რომელიც გაიხსნა მხატვართა კავშირის სურათების გალერეიის შენობაში.

ეს გამოფენა არის სპეციფიური შემოქმედების შედეგი, სადაც ხელოვანი იმდენად როდი ცდილობს მოგვცეს ხელოვნების ახალი ხერხები და სრულყოფილი ფორმა, რამდენად გამოსთქვას, როგორც მოქალაქემ, თავისი გულისწყრომა მტრის მიმართ და თავისი აღფრთოვანება და სიყვარული სამშობლოს გმირულ დამცველთა მიმართ. ალბათ, ამიტომ მოზღვავებული პატრიოტული გრძნობის სურვილმა სათანადო დრო არ მისცა შემოქმედს, რათა ნამუშევარი ფორმის მხრივ სავსებით ჩამოყალიბებული ყოფილიყო. ამის გამო გამოფენილ ნამუშევართა უმეტესობას ერთნაირი დაჩქარებისა და დაუსრულებლობის დაღი აზის.

როგორც გამოფენილი სურათების რაოდენობით, ისე მხატვრული ღირსებით მთავარი ადგილი გამოფენაზე უჭირავს ფერწერის განყოფილებას. აქ უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა დავასახელოთ ახალგაზრდა მხატვარის ნიაურის დიდი ჟანრული ხასიათის სურათი „მეთაურის მოთხრობა", სადაც მოცემულია ფრონტიდან დაბრუნებული წითელი მეთაურის ბაასი თავის სოფლის კაცებთან ქართული სოფლის ბუნების ფონზე. მართალია, არ ვიცით, რას მოუთხრობს კონკრეტულად წითელი მეთაური თავის მეზობლებს, მაგრამ ჩვენთვის ნათელია, რომ ის, რასაც ასე გულწრფელად და მომხიბლავად უამბობს მეთაური, უთუოდ დიდად მნიშვნელოვანია და ეს აღბეჭდილია მისი მსმენელების სახეებზედაც. ფიგურების განლაგება, ქართული ბუნების მცხუნვარე მზით გაშუქებული ფერადოვანი კუთხე მოცემულია ნამდვილ რეალისტურ ტონებში.

მაღალი პლასტიური ღირსებით არის შემკული ქ. ციმაკურიძის პატარა სურათი: „სასურველი სტუმრები", სადაც ნაჩვენებია ორი წითელი მხედრის სტუმრობა ქართულ ოჯახში. აქ კარგად არის გადმოცემული მასპინძელი ქალების სტუმართმოყვარეობით და სიხარულით განათებული სახეები, წითელი მხედრების ვაჟკაცური იერი, ქართული მთიანი პეიზაჟი, მოთამაშე შუქ-ბნელით გამოცოცხლებული.

განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი ამ გამოფენაზე ბატალური ჟანრი. საინტერესოა ორდენოსან მხატვარის ელ. ახვლედიანის პირველი ცდა. მისი ორი სურათი ამ დარგში:—„გიორგი სააკაძე ბრძოლის დროს" და „ცხრანი ძმანი ხერხეულიძენი". უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს პირველი სურათი, როგორც უფრო დამთავრებული. ორიგინალურია მხატვრის კონცეპციის მიხედვით თვითონ ტიპი გიორგი სააკაძისა,—კარგად არის მოცემული მეომართა ფიგურების დინამიკა და სალამოს ბინდით მოცული ქართული ხავერდოვანი პეიზაჟი. მხოლოდ ვერ დავეთანხმებით ნიჭიერ მხატვარს თითქოს თეატრალური რეცეპტის მიხედვით პირველი პლანის გაშუქებას, ვინაიდან ამას სურათში ერთნაირი ხელოვნურობის ელემენტი შეაქვს.

ს. მაისაშვილმა კარგ ძველ სურათთან ერთად „სერგო ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში" მოგვცა ორი ახალი სურათი: „სტალინი ცარიცინში", „300 არაგველი" და ერთი ნახატი გუაშით, სადაც უხვად არის გამოყენებული სამხედრო თემები, მაგრამ სადაც კომპოზიცია მოისუსტებს.

აღსანიშნავია მხატვარ შ. მაყაშვილის მიერ შესრულებული ბატალური სურათები: „სპარსელების განდევნა თბილისიდან" და „მეტეხის ციხის დაცვა". მეორე სურათი ეფექტიანია ბრძოლაში ჩაბმულ მეომართა მკვეთრი დინამიზმით.

წარმატებით აქვს შესრულებული ბატალური ჟანრის თავისი პირველი სურათი—და ისიც მხოლოდ ფერწერის მხრივ—მხატვარ ქ. გრძელიშვილს: „მეზარბაზნის გმირობა".

ნიჭიერი მხატვარის თ. აბაკელიას მიერ შესრულებული სურათის „თბილისის ალყა მე-7 საუკუნეში" შთაბეჭდილებას ასუსტებს ფიგურების გადამეტებული სტატიკა.

მხატვარ რომანოვსკის სურათი „კრწანისის ველი" მაყურებლის ყურადღებას იქცევს „ქარიშხალური იერიშის" ატმოსფერის გადმოცემით და მრავალფიგურიანი კომპოზიციის ამოცანის გადაჭრით. ამ ღირსებას საგრძნობლად ვნებს მებრძოლთა „ეგზოტიური" ტიპაჟის კარიკატურული გადმოცემა.

საპორტრეტო ჟანრში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავასახელოთ ქეთო მაღალაშვილის სურათები: მოლოტოვის, ტიმოშენკოს, მალენკოვის და საბჭოთა კავშირის გმირის გუსევისა. განსაკუთრებით ძლიერია გუსევის პორტრეტი. სურათი გვაგრძნობინებს, რომ გუსევი მდიდარი ბუნების ადამიანია. მის სიცოცხლით სავსე თვალებში ვკითხულობთ მეომრის შეუპოვრობას და გულადობას, ამასთან ერთად უბრალო ადამიანის გულკეთილობას. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ამ პორტრეტის დახატვა ქ. მაღალაშვილს უხდებოდა ფოტოსურათის მიხედვით, მაშინ ცხადი გახდება ჩვენთვის ამ მხატვრის არტისტული ინტუიცია და პროფესიული ოსტატობა.

უჩა ჯაფარიძემ ამხანაგ სტალინის ძველი პორტრეტის გარდა, (რომლის დადებითი მხარეები ერთსულოვნად შეფასებულია ჩვენი მხატვრული კრიტიკის მიერ), გამოფინა მარშალ ბუდიონის პორტრეტი, სადაც მხატვარი ფსიქოლოგიური დაკვირვებით ახასიათებს ამ სახალხო გმირის ბუნების ძალას, რომელიც რუსი ხალხის ენერგიისა და გამძლეობის ანარეკლია.

ქ. კიკნაძის მიერ შესრულებული პორტრეტი მარშალ ვოროშილოვისა მოწმობს ამ მხატვრის ოსტატობის შემდგომ ამაღლებას.

უხვად არის წარმოდგენილი აგრეთვე გრაფიკის, პლაკატის და კარიკატურის დარგი.

აღსანიშნავია ამ დარგში უკვე დახელოვნებული მხატვრის დ. ქუთათელაძის ნახატები: „სტალინი, კიროვი და პარხომენკო ცარიცინის ფრონტზე", „სერგო ორჯონიკიძე და კიროვი" და სხვა, რომლებსაც ახასიათებს მკვეთრი და დახვეწილი მოხაზულობა და მხატვრული ექსპრესიულობა.

მოსაწონია გამოფენის ორგანიზატორების ინიციატივა—კვლავ ეჩვენებინათ ქართველი საზოგადოებისათვის განსვენებულ მხატვრის შ. ძნელაძის—ამ გურული სპეციფიკის პოეტის სურათები, გურიის რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი. კარგად არის მოცემული: გურული პარტიზანების ფიგურების ბუნებრივი მოქნილობა, მათი რევოლუციური პათოსი.

თავისებური ოსტატობით გამოირჩევა მხატვარ ნ. ჩერნიშკოვის მიერ შესრულებული ორი ილუსტრაცია, უკრაინის 1918 წლის სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი.

კარგად არის შესრულებული ნადარეიშვილის და მირზოევის პლაკატები, რომლებიც გადმოგვცემენ წითელი არმიის ძლევამოსილობას.

მწვავე ირონიით არის გაჟღენთილი გუროს მიერ შესრულებული კარიკატურები, განსაკუთრებით ის, სადაც გამოყვანილია მარშალი პეტენი გერმანელი ოკუპანტების ჩექმების მწმენდელის როლში.

სკულპტურის დარგში აღსანიშნავია თავისი სამხედრო თემატიკით და შესრულების მაღალი ხარისხით: ვაჟკაცობით, ძლიერებით და გულადობით სავსე „ჯარისკაცი მუზარადში" სიხარულიძისა და „წითელარმიელი" მაჩაბლისა.

წინათ შესრულებულ და საზოგადოების მიერ უკვე კარგად ცნობილ ნამუშევართა შორის უნდა დავასახელოთ: ვირტუოზულად შესრულებული „ახალგაზრდა სტალინი" იაკობ ნიკოლაძისა, უდრეკი ნებისყოფის გამომხატველი „სტალინი" ნ. კანდელაკისა და აქტიურობით აღსავსე „ლ. ბერია" რ. თავაძისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გამოფენა არ გამოირჩევა თავისი ფორმალური ხასიათის მიღწევებით, მაგრამ ის მაინც მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველი მხატვრების უმეტესობა გადავიდა სამხედრო თემატიკაზე და ამით ჩაება მტერთან ბრძოლაში სპეციფიური იარაღით.

კოტე თოფურიძე.

მარინა ლახნო*

პ. სიმონოვი

უფროსი ლეიტენანტი ვასილიევი მძიმედ დაიჭრა მტრის საზენიტო ბატარეიდან გამოსროლილი ყუმბარის ნამტვრევით. უკვე ჰკარგავდა გრძნობას, როდესაც მან თავის ეკიპაჟს უბრძანა:

— რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაზვერვის შედეგი აცნობეთ შტაბს!

— უსათუოდ ვაცნობებთ! — მიუგო პილოტმა და თვითმფრინავი ბაზისკენ წარმართა.

მფრინავებს მცირე სიმაღლეზე შემოდგომის ტენით გაჟღენთილ ღრუბლებს ქვემოთ. ისე სჩანდა, თითქოს სწვიმსო. ქვემოთ მოსჩანდა გაფთრებული ტყვიისფერი ზღვა, რომელსაც თავისი სილაჟვარდე დაეკარგა და რომელიც ტალღას ტალღაზე მიაქანებდა.

განვლო ერთმა საათმა. შორს გამოჩნდა ზღვაში შეჭრილი კონცხის ნაცნობი მოხაზულობა. იქიდან მკვეთრად გაუხვევ მარცხნივ— და ბაზას მიადგები. იქ არის ძვირფასი, მშობლიური ბაზა, რომლის წყლის წყნარი, მოხრაკრაკებული ზედაპირიდან არა ერთხელ აფრენილან საბრძოლველად განმზადებულნი.

— შინა ვართ, — სთქვა პილოტმა. — მიტია, ძვირფასო, მივედით შინ.

მაგრამ ვასილიევს არა ესმოდა-რა. თითქოს დაღლილიაო, თავი მკერდზე დაეშვა, მხრით კაბინის კედელს მიყრდნობოდა. ასეთ მდგომარეობაში იყო, როდესაც თვითმფრინავის დაშვების შემდეგ მებრძოლი მეგობარი ამხანაგებმა მიწაზე გადმოიყვანეს.

— დაუყოვნებლივ აღმოუჩინეთ პირველი დახმარება და ჰოსპიტალში გაისტუმრეთ! — ბრძანა ნაწილის უფროსმა კაპიტანმა წურწუმიამ.

იმ დროს, როდესაც ექიმები ჭრილობებს უხვევდნენ ვასილიევს და გონს მოჰყავდათ იგი, შტაბში უკვე ამუშავებდნენ დაზვერვის შედეგებს. ცნობები მეტად საყურადღებო აღმოჩნდა: მტერი თურმე მოხერხებულად უყრიდა თავს გემებს—ტრანსპორტებს და სამხედრო ხომალდებს.

— აშკარაა, დიდ დესანტს ამზადებენ, — სთქვა წურწუმიამ, როდესაც გულდასმით გასინჯა ფოტო-სურათი. უბრძანა ყუმბარები დაეშინათ მტრის ბაზისთვის.

ამ დროს მათთან ექიმი შევიდა.

— ამხანაგო მეთაურო,—მიმართა მან კაპიტან წურწუმიას,—უფროს ლეიტენანტს ვასილიევს აღმოვუჩინეთ დახმარება, როგორაც კი შესაძლებელია ჩვენს პირობებში. მაგრამ ბევრი სისხლი დაუკარგავს. საჭიროა სისხლის გადასხმა...

— გამოიხმეთ მორიგი სანიტარული თვითმფრინავი და დაუყონებლივ გაისტუმრეთ დაჭრილი.

სანიტარული თვითმფრინავი პატარა მოედანზე იდგა. ის იყო დაეშვა. პილოტის კაბინაში სანდომიანი ახალგაზრდა ქალი იჯდა. სათვალეები შუბლზე აეწია. ნაზს სახის ჯანსაღი სიწითლე უმშვენებდა.

როცა სანიტარები დაჭრილ შტურმანს ვასილიევს თვითმფრინავის კაბინაში სვამდნენ, ნაწილის უფროსმა პირადად გადასცა პილოტს საჭირო ქაღალდები დაჭრილის შესახებ.

— ესენი ექიმებს გადაეცით. თქვენ კი გიბრძანებთ: რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაჭრილი ჰოსპიტალში მიიყვანეთ. რადაც უნდა დაგიჯდეთ!

მცირე გაქანების შემდეგ თვითმფრინავი მოსწყდა მიწას და გაუდგა გზას. ქალაქამდის ორი საათის სავალი იყო. მაგრამ უფრო ადრე უნდა მისულიყო. დროს მოსაგებად მფრინავი მარინა ლახნო დიდ სიმაღლეზე აღარ ასულა, იგი გაჰყვა პირდაპირ გზას — ზღვის სანაპიროს, ფართო გაშლილ ველებს.

სწრაფად გარბოდნენ თვითმფრინავს ქვემოთ მდინარეები და ნაკადულები, სახლები და ხეები. თვითმფრინავი თავისუფლად მიდიოდა და მხოლოდ როცა ტყეებს უახლოვდებოდა, ზევით იწევდა და ხეების კენწეროების მახლობლად მიფრინავდა.

— კარგი ადგილებია,—სთქვა თავისთვის მარინამ და სახე ოდნავ დაჭრილისკენ მიაბრუნა. დაჭრილი მდუმარედ იჯდა, გაშეშებული. მთელი სახე შეხვეული ჰქონდა, მოუჩანდა მხოლოდ თვალები, მაგრამ წამწამები ისე ჰქონდა დაშვებული, რომ საეჭვო იყო, ხედავდა იგი რამეს თუ არა. მარინას დრო არა ჰქონდა დაჭრილის დაწვრილებით დასათვალიერებლად. მაგრამ შტურმანის თვალებმა მაინც მიიქციეს მისი ყურადღება, და გონებაში ხშირად უბრუნდებოდა ამ თვალებს.

უეცრად, როდესაც ჰორიზონტზე ვერცხლისფერმა მდინარემ გაიელვა, ხოლო მდინარის იქით გამოჩნდნენ მწვანე ბაღები და მათ შორის კოხტა თეთრი სახლები, თვითმფრინავის სიბრტყიდან ტყვიების რაკარუკი მოისმა. პილოტმა მიმოიხედა. მარჯვენა მხრიდან მტრის თვითმფრინავი მიეშურებოდა მისკენ.

— არამზადავ, ხომ ხედავ წითელ ჯვარს!? —თითქმის შეჰყვირა მარინამ და რომ ტყვიებისაგან თავი დაეღწია, მანაც მარჯვნივ შეაბრუნა თვითმფრინავი.

ამით გზა აუბნია ყაჩაღს, მიზანში ამოღების საშუალება აღარ მისცა. ფაშისტი ახლა მარცხენა მხრიდან მოექცა. მარინამ შენიშნა, —არც თუ ძნელი მისახვედრი იყო ეს,—რომ მტრის გამანადგურებელი ზევით-ზევით იწევდა. ორჯერ გადატრიალების შემდეგ იგი, ალბათ მარცხენა მხრიდან შეუტევს. საშიში მას არაფერი მოელოდა, რადგან გერმანელმა ყაჩაღმა იცოდა, რომ სანიტარულ თვითმფრინავს ტყვიამფრქვევები არა აქვს.

სიმწარისაგან მარინამ ტუჩზე იკბინა. მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველიდა. მცირე დრო-ღა უნდოდა მხოლოდ, სულ რამდენიმე წუთი, რომ მარინა ამ უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოსულიყო. აგერ ჰორიზონტზე უკვე მოსჩანან ქალაქის განაპირა ადგილები. რამდენიმე წუთი კიდევ... იმ პატარა ტყემდე მაინც მიაღწიოს, მდინარეზე გადაფრინდეს. იქიდან მარინა ხელით მიიტანს დაჭრილს ჰოსპიტალამდე.

როდესაც ქვემოთ მდინარემ გაიელვა, ფაშისტმა კვლავ მიაყარა მარინას ტყვია. აშკარაა, ფაშისტმა გადასწყვიტა—მდინარეში ჩაეძირა სანიტარული თვითმფრინავი.

რამდენიმე წუთს მარინა ფიქრობდა — რა ხერხისთვის მიემართნა. თავში აზრი აზრს სცვლიდა, მაინც ვერა გადაეწყვიტა რა. გადაუხვიოს მდინარის მარჯვნივ და მიუშვიროს გამანადგურებლის ცეცხლს კაბინის უკანა ნაწილი? არა... არაფრის გულისათვის!

და მარინამ აირჩია სხვა გზა, უფრო სწორ გზა—თვითმფრინავი მკვეთრად მარცხნივ შეაბრუნა, ხოლო როდესაც ფაშისტი გადატრიალებას შეუდგა, მან თავისი სუსტი ბილპონი მარჯვნივ მიმართა.

ერთი წუთი მოიგო მარინამ. ვიდრე მტერი ახალი იერიშისთვის ემზადებოდა, ქვემოთ უკვე ნაპირი გამოჩნდა.

მაგრამ როგორ დაეშვას მიწაზე? ერთი ბუჩქიც კი არსად მოსჩანს: მიწაზე დაშვების შემდეგ ხომ ტყვიით დასცხრილავს გერმანელი ყაჩაღი თვითმფრინავს...

მაგრამ არა: შორს ნათლად გამოჩნდა პატარა ტყე. იმ ტყესთან უნდა დაეშვას, დაეშვას დაუყონებლივ. მარინამ ერთბაშად დაუშვა თვითმფრინავი მიწისკენ. ზემოთ ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდათ. უეცრად ზედ მიწასთან მოტორი ერთი წუთით მიყუჩდა, მერე მის თავზე ალი ავარდა—ცეცხლი მოედვა. მიწაზე დაშვება აუცილებელი გახდა.

ხტუნვით გაირბინა თვითმფრინავმა მოთიბული მინდორი და ტყის პირთან შეჩერდა. მოტორი მაშხალასავით ვარვარებდა. იგი სწვავდა სახეს, ხელებს.

მარინა სწრაფად გადმოხტა კაბინიდან, მან დაჭრილთან მიირბინა.

—კისერზე ხელებით მომეჭიდეთ!—მიმართა მან დაჭრილს.

მაგრამ დაჭრილს არა ესმოდა-რა, თვალებიც-კი არ გაუხელია. „ვაი თუ მოკლულია?!"—გაიფიქრა მარინამ გულის ფანცქალით, მაგრამ ფიქრის დრო აღარა ჰქონდა: ტყვიები ამის ნებას არ აძლევდნენ. ამიტომ მან ხელი დასტაცა დაჭრილს, მოიგდო მარჯვენა მხარზე და ტყისაკენ გაემართა.

თვითმფრინავი იწოდა. მარინამ მცირე მანძილი გაიარა, იმდენი, რამდენიც შესძლო, და ჟოლის ბუჩქეში, პატარა ამოღრმავებულ ადგილზე დაეშვა. დაჭრილს კრინტი-ხმა არ ამოუღია: მარინამ აკანკალებული ხელით მაჯა გაუსინჯა—გული უცემდა. მაშასადამე, ცოცხალია!..

უეცრად ზემოთ, თავზე, ტყვიამფრქვევის რაკრაკი გაისმა. მარინა თავისი პატარა ტანით ინსტიქტურად გადაეფარა დაჭრილს და ზევით აიხედა.

თვალებში უზომო სიხარულმა გაუელვა: ფაშისტის თავზე ორი ჩვენი გამანადგურებელი ტრიალებდა და ტყვიას უშენდა. ფაშისტს გასაქცევი გზა აღარა ჰქონდა. მისმა გამანადგურებელმა იფეთქა და მიწისკენ დაეშვა. დაეცა მარინას წაკიდებული თვითმფრინავის მარჯვნივ. ჩვენმა გამანადგურებლებმა ორჯერ გააკეთეს წრე მის თავზე. ამ დროს ტყიდან ჩვენი მებრძოლები გამოვარდნენ.

— ამხანაგებო,—მიმართა მათ მარინამ, — აქ დაჭრილი მეთაური წევს.

ზემდეგმა, რომელიც მებრძოლთა ჯგუფს მეთაურობდა, რამდენიმე კაცი თვითმფრინავთან გაგზავნა, ხოლო თავათ დანარჩენებთან ერთად მარინასთან მიირბინა. სირბილისაგან მას სახე გაწითლებული ჰქონდა, ხოლო გიმნასტურა დასველებული ოფლისაგან.

— ჩვენ დაგინახეთ ქალაქის მეორე მხრიდან. პეტრენკო, ვიხროვ, სემიონოვ! აბა, აიყვანეთ დაჭრილი და გაეშურეთ მანქანისკენ!—და ზემდეგი პირველი დაიხარა დაჭრილისაკენ.

...როდესაც ჰოსპიტალში მარინამ საბუთები გადასცა, შემთხვევით კონვერტს დახედა, მარჯვენა კუთხეში მიწერილი იყო: „უფროსი ლეიტენანტი დ. ვ. ვასილიევი".

— ის არის, მიტიაა!—ჩურჩულით წარმოსთქვა და ერთბაშად შეშფოთდა, მაგრამ მალე თავი შეიკავა და გამოჰკითხა ექიმს ავადმყოფის ამბავი.

— სისხლის გადასხმა დამთავრდა. მაგარი ორგანიზმი აქვს. მაგრამ... ყველაფერი გულზეა დამოკიდებული. თუ გაუძლო დატვირთვას—გადარჩება.

— იქნებ... ნება დამრთოთ ვნახო?—კითხა აღელვებულმა მარინამ.

— არ შეიძლება!—მიუგო ექიმმა.

— გთხოვთ, გევედრებით... ნება მომეცით, თვალი შევავლო მხოლოდ. უნდა დავრწმუნდე,—სწრაფად წარმოსთქვა მარინამ. იგი უკვე ჰკარგავდა თავის ჩვეულებრივ წონასწორობას.

— რა დაგემართათ? რას გაფითრდით? კაცი ვეღარ გიცნობთ!—სთქვა ექიმმა და გაკვირვებულმა შეხედა მუდამ მშვიდ სანიტარული ავიაციის პილოტს მარინა ლახნოს.

— მინდა ვნახო... დაჭრილი ვასილიევი, — თითქმის მუდარით სთქვა მარინამ.—მხოლოდ ერთხელ შევხედავ. ის არის თუ არა—ვასილიევი...

— დიახ, ვასილიევია, დიმიტრი ვასილიევიჩი, 1913 წელს დაბადებული.

— ის არის... მიტიაა... მხოლოდ შევავლებ თვალს.

ამ დროს ოთახში მედიცინის და შევიდა. მან ხმადაბლა მიმართა ექიმს:

— ავადმყოფს სძინავს. მაჯა მსუბუქად უცემს.

ექიმმა თავით ანიშნა მარინას—გაჰყოლოდა. თითქოს სიზმარშიაო, თვალებ-დაშვებული მისდევდა მარინა ექიმს.

— მხოლოდ კრინტი-ხმა არ დასძრათ, — სთქვა ექიმმა და თითი ტუჩებზე მიიდო.

— არა, არა—დაუქნია თავი მარინამ.

ავადმყოფი თეთრ მომცრო ოთახში იწვა. მარინა უხმოდ მიუახლოვდა და თავით დაუდგა. ფერწასული სახე ჩამომხმარიყო, თვალებს ზემოთ შავი განიერი წარბები ფრთებივით გაშლილიყვნენ. საფეთქლებთან ოდნავ შევერცხლილი ხშირი თმა უკან ჰქონდა გადაგდებული.

— ის არის... მიტიაა!...—ჩუმად სთქვა მარინამ.

მის სახეს მწუხარების ჩრდილმა გადაურბინა. თვალებზე დაუპატიჟებელი ცრემლი მოადგა. სუნთქვა შეეკრა, ყელში რაღაც მოებჯინა. ექიმმა მისაშველებლად ხელი გაუწოდა, მაგრამ მარინამ თავი შეიმაგრა. ორივე ხელი სტაცა ექიმის ხელს და მაგრა მოუჭირა. თითქმის ჩურჩულით სთქვა:

— საზიზღრები არიან... არ დაინდეს დაჭრილიც-კი. არა, სიძულვილი აქ ცოტაა. შური უნდა ვიძიოთ, შური. დაუნდობლად უნდა ვიძიოთ. ისინი მტრებადაც არ ჩაითვლებიან. სისხლისმსმელი მხეცები არიან,—სთქვა ეს და სწრაფად გავიდა ქუჩაში. მხოლოდ იქ, როდესაც სრული მკერდით უხვად შეისუნთქა წმინდა ჰაერი, ველის სურნელებით შეზავებული ჰაერი, საბოლოოდ მოიკრიბა გონება.

— შემოიარეთ სამი დღის შემდეგ,—უთხრა ექიმმა,—ნახვის ნებას მოგცემთ. იმედი მაქვს, რომ ავადმყოფი უკეთ იქნება. მაგარი ორგანიზმი აქვს, გაუძლებს.

— შემოვივლი. მაგრამ რა შორს არის— სამი დღე!—თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა მარინამ და მოაშორა თვალი ექიმს.

— რა მწუხარედ გამოიყურებით?—სთქვა ექიმმა და ჰკითხა:— რა არის თქვენი ეს ავადმყოფი?

— ჩემი ქმარია,—მიუგო მარინამ.

*) ეს ნარკვევი ორდენოსან მფრინავ უფროს ლეიტენანტ პ. სიმონოვის მიერ დაწერილია ჩვენი გაზეთისათვის.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 42327